

## ფსიქო-სოციალური სერვისების როლი დავით განქორწინების პროცესში

ნინო ქიტოშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი

### რეზიუმე

ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, წარმოადგენს ბავშვის სოციალიზაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს და პასუხისმგებელია მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში (Parsons და Bales 1956, გვ.35-36). განქორწინების პროცესი კი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ოჯახის ცალკეულ წევრების ფსიქიკურ მდგომარეობას (Pruett და Barker გვ.467) და მეცნიერთა (Nurse და Thompson 2009, გვ.481-482) აზრით, იმისთვის, რომ განქორწინების პროცესი იყოს ნაკლებად საზიანო, აუცილებელია ესპერტთა ჩართულობა, რა დროსაც სხვადასხვა სპეციალისტი ოჯახის წევრებს უწყვეტ ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ, ფინანსურ, სოციალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. ესპერტების და სერვისების ეფექტიანი მუშაობა ხელს უწყობს განქორწინების პროცესით გამოწვეული სტრესის მართვასა და მისი უარყოფითი შედეგების შემცირებას. ნაშრომის მიზანია იკვლიოს საქართველოში დავით განქორწინების პროცესში ესპერტების ჩართვისა და მხარეებისთვის მხარდასაჭერი სერვისების შეთავაზების შესაძლებლობების არსებობა და დაადგინოს მისი მნიშვნელოვნება. კვლევის ინტერესია განქორწინების პროცესში არსებული სერვისები, პროცესის ნაკლოვანებები და საჭიროებები. ჩატარებული სამაგიდო კვლევის საფუძველზე, განხილულ იქნა დავით განქორწინების ფსიქოლოგიური ასპექტები და სამართლებრივი ჩარჩო. განქორწინების მსურველი მხარეებისთვის არსებული სერვისების შესასწავლად, ჩატარდა აღნიშნული სფეროს ესპერტებთან სიღმისეული ინტერვიუები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდა საჭიროებების იდენტიფიცირება და შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახი, განქორწინება, დავით განქორწინება, ფსიქო-სოციალური სერვისები.

### შესავალი

ოჯახი წარმოადგენს ორგანიზებულ და სტაბილურ ჯგუფს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების ქცევითი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში (შალიკაშვილი და ჩიხლაძე, 2013, გვ. 60). საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ოჯახი განსხვავებული წამყვანი ფუნქციის მატარებელი იყო და თითოეული მათგანი: რეპროდუქციული, აღმზრდელობითი, ემოციური, სულიერი, მატერიალური, რეკერეაციული, რეგულაციური, ოჯახის ფელიციტოლოგიური და კომუნიკაციური ფუნქციები ოჯახის ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენდა (ფირცხალავა 2008. გვ. 46). ბოლო წლების განმავლობაში იმატა განქორწინების რიცხვმა (გუგუშვილი 2015, გვ.29), რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის სოციალურ სტრუქტურაზე და განსაკუთრებით შვილების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (Lochman და Mattys 2018, გვ. 269). განქორწინების

პროცესი და განქორწინების შედეგად, მშობლების განცალკევებით ცხოვრება გავლენას ახდენს შვილებისა და მშობლების დამოკიდებულებაზე, რაც მშობელთა შორის კონფლიქტის მატებას უწყობს ხელსდა თავის მხრივ, კავშირშია სტრესული სიტუაციების რაოდენობასთან და ოჯახის წევრების სტრესთან (Pruett და Barker 2011, გვ. 463); შვილის აგრესიასთან (Forehead R. და სხვები 1988, გვ.155-156); ფინანსური მდგომარეობით გამოწვეულ სტრესთან და ზრუნვისა და ყურადღების ნაკლებობასთან (Lochman და Mattys, 2018, გვ. 269); შვილების მსხვერპლის როლთან, მათ ინტელექტუალურ, აკადემიურ, სოციალური ცხოვრებისა და ფსიქო-სოციალურ ცვლილებებსა და ანტი-სოციალურ ტენდენციებთან (Ackerman და Kane, 2007); ნაადრევ სექსუალურ ურთიერთობებთან (Guttman 2008, გვ.188) და შვილების აკადემიური მოსწრების კლებასთან (Kaye, 2013, გვ. 283). როგორც მკვლევარები ( Vandewater და Lansford, 1998, გვ. 325-327) აღნიშნავენ, ეს აისახება მშობელთა და ბავშვთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში, ბავშვის ქცევის გარეგან გამოხატულებებში (როგორც ოჯახის წევრების, ისე თანატოლების მიმართ) და, ასევე, მათ კოგნიტურ შესაძლებლობებში. განქორწინებული ოჯახის სტრუქტურის გავლენა ოჯახის წევრებზე, მშობლების აღზრდის სტილზე და მშობლების შვილებთან ურთიერთობების წარუმატებლობაზე ხშირად კავშირშია რისხვასთან, ძალადობასთან, ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმთან (Family Justice Review Final Report, 2011, გვ. 5).

როგორც მკვლევარი ვარდოსანიძე (2019) თავის ნაშრომში აღნიშნავს 1994-2018 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკური ანალიზისას გამოიკვეთა ქორწინებების რიცხვის კლება<sup>1</sup> და დაქორწინების საშუალო ასაკისა და განქორწინების რიცხვის შესამჩნევი ზრდა<sup>2</sup> (ვარდოსანიძე 2019, გვ. 77). მართალია, განქორწინების მიზეზი სხვადასხვაა თუმცა, კოატესა და ლაკროსეს (Coates და Lacrosse 2003) აზრით, ყველას აერთიანებს იდეა, რომ „იმ“ ადამიანთან ცხოვრების სურვილი ქრება და „მის“ გარეშე ყოფნა უკეთესი ეჩვენება ადამიანს. ამ გადაწყვეტილებას, ძირითადად მართავს „აქ და ამჟამად“ არსებული ვითარება. ამ ვითარების აღქმა მათი მიხედვით, დამოკიდებულია: ტემპერამენტზე; შიშზე; გარემომცხოვრების აზრზე; პირად ცხოვრებაზე; სოციალურ წრეზე და გამოცდილებაზე (Coates და Lacrosse 2003, გვ.8-10). საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა (გუგუშვილი 2015, გვ.35-36; ვარდოსანიძე 2019, გვ. 78) საქართველოში მაცხოვრებელი ოჯახების განქორწინების მიზეზთა შორის გამოყო: ქორწინებამდელი ურთიერთობების მცირე ხანგრძლივობა; ოჯახის შექმნა ადრეულ ასაკში; დაოჯახების შემდგომ ცუდი პარტნიორული ურთიერთობები; არასტაბილური შემოსავალი; წყვილის ურთიერთობაში სხვათა ჩარევა; ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობის გამოუცდლობა; ღალატი; ეჭვიანობა და ერთერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზად კი დასახელდა ძალადობის ფაქტები. ასევე, კვლევებმა (გუგუშვილი 2015, გვ.35-36; ვარდოსანიძე 2019, გვ. 79) აჩვენა, რომ განქორწინების ინიციატორი ხშირ შემთხვევაში არის ქალი.

დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლის 2011 წლის საბოლოო ანგარიშში (Family Justice Review Final Report, 2011), ასევე, ხაზგასმულია განქორწინების ფუნდამენტური

<sup>1</sup>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელმისაწვდომია

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba> წვდომის თარიღი 29.03.2021

<sup>2</sup>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

ხელმისაწვდომია <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba>, წვდომის თარიღი 29.03.2021

გრძელვადიანი შედეგები ბავშვებისთვის, მშობლებისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის. რაც გვაფიქრებინებს, რომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განქორწინების პროცესს. კერძოდ, მიჩნეულია (FJRFR<sup>3</sup> 2011), რომ განქორწინების პროცესი უნდა იყოს ჯეროვნად და დროულად განხილული; მასში მონაწილე ბავშვებსა და მოზრდილებს უნდა მიეცეთ საშუალება გაერკვნენ ვითარებაში და გამოხატონ თავიანთი პოზიცია; სასამართლო პროცესისა და არსებული სერვისების მიმართ უნდა არსებობდეს მხარეების ნდობა; გამორიცხულ იქნას მიკერძოებულობა და განქორწინების საქმე, სადაც ფიგურირებენ არასრულწლოვანი შვილები, საჭიროებს შესაბამისი უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების მხარდაჭერას (Family Justice Review Final Report, 2011, გვ. 5-6). დავით განქორწინების პროცესში ექსპერტების ჩართულობა და მხარეებისთვის ფსიქო-სოციალური მხარდასაჭერის სერვისების შეთავაზება მნიშვნელოვნად ამცირებს განქორწინების სტრესს, ხოლო მათი არ არსებობა თავის მხრივ, დიდი ფსიქო-სოციალური ზიანის რისკის შემცველია ოჯახის ყველა წევრისათვის (Nurse და Thompson 2009, გვ.477-482).

კვლევის ფოკუსს წარმოადგენს, საქართველოში დავით განქორწინების პროცესში არსებული ფსიქო-სოციალურ მხარდასაჭერი არსებული სერვისები და აღნიშნულ სფეროში მომუშავე ექსპერტთა ჩართულობა ამ პროცესში. კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს, დავით განქორწინების პროცესში ოჯახის წევრებისთვის რა ფსიქო-სოციალური სერვისები არსებობს, რა სირთულეებს აწყდებიან მხარეები და რა ცვლილებებს საჭიროებს აღნიშნული პროცესი.

საქართველოში დავით განქორწინების პროცესში სერვისების, პროცესის სირთულეებისა და საჭიროებების შესწავლის მიზნით, კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად:

კვლევაში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია: სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოში დავით განქორწინების სამართლებრივი დეტალები და განქორწინების პროცესში მხარეებისთვის არსებულ ფსიქო-სოციალურ სერვისების მნიშვნელოვნობის შესახებ ლიტერატურა.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები საოჯახო, სასამართლო, სამართალსა და ფსიქო-სოციალურ სფეროში მომუშავე პრაქტიკოს ექსპერტებთან.

კვლევის მიზანია საქართველოში დავით განქორწინების ფსიქო-სოციალური პროცესის ხარვეზების იდენტიფიცირება, დავით განქორწინების მხარეთა მხარდასაჭერი ფსიქო-სოციალური სერვისების აუცილებლობის არგუმენტირება და რელევანტური რეკომენდაციების შემუშავება.

### **განქორწინების ფსიქოლოგიური ასპექტები**

განქორწინებას ყოველთვის ეკავა, უკავია და მომავალშიც ექნება მნიშვნელოვანი ადგილი ოჯახის სტრუქტურაში, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ყველა წევრზე. ოჯახის წევრებისთვის ქმნის უამრავ სტრესორს, რაც ბავშვებისათვის ძლიერი რისკის ფაქტორია. დაოჯახებული მშობლების ბავშვებთან შედარებით, განქორწინებული მშობლების შვილებს აქვთ უფრო დაბალი აკადემიური მოსწრება და უფრო მაღალი სკოლის მიტოვების მაჩვენებლები (Pruett და Barker, 2009), მეტი ქცევითი და ემოციური პრობლემები, დაბალი თვითშეფასება და უფრო მეტი სირთულეები პიროვნულ

<sup>3</sup>Family Justice Review Final Report, 2011.

ურთიერთობებში. ბავშვებში მძიმედ განიცდიან მამასთან მეტი კონტაქტის დაუკმაყოფილებელი სურვილით გამოწვეულ ნეგატიურ გრძნობებს და მოგონებებს ბავშვობის განმავლობაში. ბავშვების (ამერიკელი) უმეტესობას 2-3 წელი ჭირდება, რომ შეეგუოს განქორწინებას და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ბავშვი განიცდის განქორწინებას, მხოლოდ 20-25%-ს ემუქრება ისეთი ემოციური პრობლემების განვითარება, როგორცაა: განწყობის დარღვევები, შფოთვითი აშლილობები და ქცევის დარღვევები. ამრიგად, განქორწინება არ იწვევს ბავშვებში ფსიქიკურ პრობლემებსა და ცხოვრებისეულ გაჭირვებებს, თუმცა, ამაღლებს მათი განვითარების რისკს და სწორედ ამიტომ, წარმოადგენს მკვლევარების ინტერესს (Pruett დაBarker, 2009, გვ.463). .

დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტრო (Family Justice Review Final Report, 2011, გვ. 85) სასამართლოს, დავით განქორწინების პროცესის ნაკლებად საზიანო წარმართვისათვის სთავაზობს სასამართლო პროცესის მსვლელობისას შექმნას ჯგუფი, რომელთა წევრებიც დაეხმარებიან მხარეებს გაუმკლავდნენ პროცესის თანმდევ მძიმე გარემოებებს და შეძლონ რეალობასთან შეგუება. აღნიშნულ ჯგუფში მოიაზრებიან მოსამართლეები, ოჯახის წარმომადგენლები, ადვოკატები, სასამართლო მოხელეები, სოციალური მუშაკები, ოჯახის მედიატორები და ექსპერტი მოწმეები (ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და პედაგოგები).

მკვლევრების (Pruett დაBarker) აზრით, მშობლების განქორწინებასთან შეგუება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორისაა :

1. ბავშვთა ასაკი - ბავშვის განვითარების შესაბამისად, ფაქტის აღქმის სიმძაფრე და სზიანო შედეგების რისკები საჭიროებს პროფესიონალების მხირდან მეტ ყურადღებას;

2. ბავშვების სქესი - პრუეტმა და ბარკერმა (Pruett და Barker 2009) კვლევითი მონაცემებით დაასკვნეს, რომბიჭებს, სხვადასხვა ასაკში, გოგონებთან შედარებით უფრო მეტად უჭირდათ მშობლების განქორწინებასთან შეგუება. კვლევები მოწმობს სქესთა შორის სხვაობას, რომ ბიჭები მეტად მოწყვლადნი არიან ემოციური პრობლემებისადმი, თუმცა ორივე სქესი გარკვეული რისკების ქვეშ იმყოფება და ეს მნიშვნელოვან კავშირშია, მშობლების განქორწინების პროცესში, მათ ასაკთან ;

3. მშობლებს შორის ურთიერთობა- ასევე, წარმოადგენს განქორწინებასთან შვილების შეგუების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. კერძოდ, კი მშობლების გამუდმებული კონფლიქტი, ჩხუბი და დავა მნიშვნელოვნად აფერხებს შვილების განვითარების პროცესს და მათი ფსიქო-სოციალური კეთილდღეობისთვის რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, მშობელთა ინფორმირებულობა და ბავშვების მხარდაჭერა ამ პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანია;

4. მშობლებთან ურთიერთობა - ის, თუ როგორი ურთიერთობა აქვს შვილს, სახლიდან წასულ მშობელთან, ასევე, ახდენს გავლენას მის სრულფასოვან განვითარებაზე და განქორწინების შემდეგაც ორივე მშობელთან ურთიერთობის შენარჩუნება წარმოადგენს განქორწინების პროცესის აუცილებელ შედეგს. სწორედ ამის მნიშვნელოვნობის ჩვენება უნდა იყოს სასამართლოსა და მასში ჩართული ყველა რგოლის მიზანი (Pruett და Barker 2009, გვ.464-468).

ჰომრიჩის (Homrich 2005) აზრით, ფსიქოლოგების, მედიატორებისა და კონსულტანტების მიერ პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვნობას და ამით, განქორწინების კვლევებით დადასტურებული შედეგების უარყოფითობის სიმცირეს ხაზს უსვავს აშშ-ს სხვადასხვა შტატის სასამართლოები, კანადის მედიაციის სამსახური და შტატში მოქმედ სასამართლოსთან კავშირში მყოფი თერაპიული სამსახურები. ისინი

წყვილებს სხვადასხვა სერვისებს სთავაზობენ (საგანმანათლებლო და ემოციური პრობლემების მოგვარება და ოჯახის საჭიროებების იდენტიფიცირება; კრიზისის მართვა, კონფლიქტური სიტუაციის კონსულტირება, მშობელთა უნარების განვითარება და არასრულწლოვან ბავშვთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა), როგორც ონლაინ, ისე პირისპირ. სერვისებით სარგებლობა ხდება განქორწინების გადაწყვეტილების მიღების, განქორწინების მსვლელობისას და მის შემდგომ პროცესში<sup>4</sup> (Homrich 2005).

როგორც პრუეტი და ბარკერი (Pruet და Barker 2009) თვლიან, რამდენად შეთანხმებულადაც არ უნდა მოხდეს განქორწინება, გადაწყვეტილება მშობლების დაშორების შესახებ, ყველა შემთხვევაში საფრთხის წინაშე აყენებს ბავშვისა და ოჯახის სხვა წევრების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ფსიქოლოგიაში გამოკვლეულია თუ რა ქმნის ამ სირთულეებს და მართალია განქორწინება რთულია ყველა ასაკის ბავშვებისთვის, შესაძლებელია ამ პროცესთან შეგუების მხარდაჭერა და სხვადასხვა ინტერვენციის შეთავაზება. განქორწინების კონსულტაციის გარდა უნდა არსებობდეს ფსიქოთერაპია და ოჯახის შეფასება. სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებების მიერ უნდა იქნეს გამოკვლეული და დადგენილი ოჯახის ადაპტაციის მხარდამჭერი პოლიტიკა, რისი დადებითი გამოცდილებაც აქვთ დასავლეთ მსოფლიოს მცხოვრებთ (Pruet და Barker, 2009, გვ.472).

#### დავით განქორწინების სამართლებრივი ასპექტები საქართველოში

საქართველოს უზენაესი ნორმატიული აქტის, კონსტიტუციის 36-ე მუხლის მიხედვით - „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას“. მეუღლეებს უფლება მოვალეობები წარმოემოხაზება ურთიერთშეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ამ უკანასკნელის წინაპირობა რეგისტრირებული ქორწინება, რასაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ოჯახი, განისაზღვრება არამხოლოდ სოციალური ურთიერთობებით, არამედ კანონით, რომელიც განსაზღვრავს საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეთა თანასწორობა/უფლებრიობას, პირდაპირ კრძალავს შეზღუდვას, უპირატესობის მინიჭებასა და დისკრიმინაციას სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-1153-ე მუხლი). თანაცხოვრებისას საოჯახო მოვალეობათა და შვილთა აღზრდის საკითხებს, ასევე, მათზე ზრუნვისა და მათი რჩენის ვალდებულება განსაზღვრულია აღნიშნული კოდექსის 1197-1198-ე მუხლებით. სადაც ვალდებულებებში იგულისხმება შვილების საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღზრდის მიზანი, ზრუნვა მათ სოციალურ და სულიერ განვითარებაზე, მათი ინტერესების გათვალისწინებით. ხოლო ის, თუ როგორ იქნება ესა თუ პირობა შესრულებული, წარმოადგენს მშობელთა შეთანხმებულ გადაწყვეტილებას.

განქორწინება წარმოადგენს ოჯახური კავშირის შეწყვეტის ერთერთ ფორმას და სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სიხშირითა და ფორმით არის წარმოდგენილი. ისევე, როგორც ქორწინებას (სამოქალაქო რეგისტრირებული, დაურეგისტრირებელი, ეკლესიური), ასევე განქორწინებას აქვს სხვადასხვა ფორმები. საქალაქო/რაიონული

<sup>4</sup>დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ განქორწინების პროცესში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისების ვებგვერდებზე <https://www.mediate.com>; <https://www.goodtherapy.org>; <https://wcpastl.com/importance-professional-counseling-pre-post-divorce>; <https://www.vermontjudiciary.org/programs-and-services>;

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია განიხილავს განქორწინების საქმეს, მაშინ, როდესაც მეუღლეებს შორის არსებობს დავა, ხოლო თუ ორივე მხარე თანხმდება ქორწინების შეწყვეტაზე, მაშინ განქორწინებას ახდენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო (მაჭარაშვილი 2019, გვ.57; საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 1123-1). ქორწინებაში მყოფი მეუღლეებს შორის არსებული დავა შეიძლება გულისხმობდეს: შვილის საცხოვრებელი ადგილისა და რჩენის ვალდებულების მქონე პირის დადგენას, მეუღლის რჩენის გადაწყვეტას დაგადაწყვეტილების მიღებას მეუღლეთა ქონების გაყოფის თაობაზე. გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო, მეუღლეთა შესარიგებლად, მიმართავს გარკვეულ ზომებს. კერძოდ კი, შეუძლია გადაავადოს პროცესის განხილვა, რათა მეუღლეებს მიეცეთ შერიგების შესაძლებლობა (განხილვის ვადის გადაცილება არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს) (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 1127(2)-1130).

საქართველოში განქორწინებისას, სადაც დავა არსებობს ბავშვთა უფლებებსა და მიკუთვნილებათა დაკავშირებით, პროცესი, ასევე, ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებათა კოდექსით (2019), მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვის დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და ანამშრომლობის შესახებ 1996 წლის კონვენციით, რომელიც ეხება მეურვეობის მზრუნველობის უფლებებს, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, ბავშვის ქონების მართვა/განსაზღვრას და სხვ.

დავით განქორწინებაში, რომელიც ეხება არასრულწლოვან შვილთა საკითხებს, ჩართულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 1128(2)). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში მოიაზრება სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელსაც აქვს ტერიტორიული ცენტრები და დავით განქორწინების საქმეში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის, მეურვეობის განსაზღვრისას და სხვა, ბავშვთან დაკავშირებულ შემთხვევებში საქმე გადადის აღნიშნული უწყების სოციალური მუშაკის სამართავ სფეროში. სხვა შემთხვევაში, მოსამართლის სსსკ-ით მინიჭებული უფლებამოსილება, მიიღოს ზომები, რათა თავიდან აცილებულ იქნეს პროცესის ესკალირება და შედეგების სიავე, არ გახლავთ მისი ვალდებულება და არც სადმე არის დაკონკრეტებული მისაღები ზომების ვარიაცია, წინაპირობები, კრიტერიუმები. ამას არეგულირებს სასამართლო პრაქტიკა, საქმის გარემოება და მოსამართლის პირადი შეხედულება.

არსებობს ბავშვთა უფლებების კოდექსში ჩანაწერიც (მუხლ.28), რომელიც ხაზს უსვავს ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შექმნასა და მისი გრძელვადიანობის აუცილებლობას, თუმცა, რეალურად მსგავსი პროგრამების არსებობისა და საქმიანობის დამადასტურებელი ინფორმაცია არ არსებობს ხელმისაწვდომ ინტერნეტ სივრცეში, რაც ბადებს ეჭვს მის არ არსებობაზე.

განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონში მეტნაკლებად გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები და მოსამართლეს „საჭიროებისამებრ“ ეძლევა შესაძლებლობა მიმართოს ყველა საჭირო ზომას, რათა ბავშვს არ მიადგეს ზიანი. თუმცა, რას ნიშნავს „საჭიროებისამებრ“ და რა შემთხვევაში უნდა მიმართოს მას მოსამართლემ, არსად არის დაკონკრეტებული და შესაბამისად, ამ ჩანაწერით უზრუნველყოფილი შესაძლებლობის გამოყენებითობას აყენებს ეჭვქვეშ.



## მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, სიღმისეული ინტერვიუ. ჩატარდა 17 ექსპერტული ინტერვიუ დავით განქორწინების პროცესში ჩართულ სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელ პირთან. მათგან იყვნენ 3 სოც მუშაკი, 7 ფსიქოლოგი და 7 სამართალმცოდნე, სულ 2 კაცი და 15 ქალი. კვლევაში მონაწილეები მუშაობენ თერაპევტებად, სასამართლო მედიატორებად, ადვოტაკებად, „case“ მენეჯერებად და სერვისის მიმწოდებელი უწყების ხელმძღვანელებად. კვლევა ჩატარდა ხელმისაწვდომი შერჩევის, თოვლის გუნდის მეთოდით. ინტერვიუების ხანგრძლივობა საშუალოდ იყო 25- 35 წ.

კითხვები ჩამოყალიბდა სამაგიდო კვლევისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად და ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა საქართველოში განქორწინების პროცესში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისები, განქორწინების პროცესის ნაკლოვანებები და ამ პროცესის საჭიროებები. ინტერვიუს შედეგად მიღებული ნარატივები გაანალიზდა თემატური კონტენტანალიზის გამოყენებით, გამოიყო ძირითადი თემები: სასამართლოში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისები, დავით განქორწინების პროცესის სირთულეები და დავით განქორწინების პროცესში არსებული საჭიროებები.

## შედეგების ანალიზი

### 1. სასამართლოში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისები

კვლევის დასაწყისში იგეგმებოდა სასამართლოში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის მოძიება საჯარო, ხელმისაწვდომი გზებით. თუმცა, კანონში არსად არის დაკონკრეტებული არსებული სერვისების ჩამონათვალი, რეფერირების პროცესი და კრიტერიუმები. ამიტომ, კვლევის მონაწილეებთან ინტერვიუების პროცესში მოხდა არსებულ სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიება. კერძოდ, სასამართლოში მიმდინარე განქორწინების პროცესში მათ დაასახელეს ოჯახისთვის შესათავაზებელი სერვისების მცირე ჩამონათვალი:

1. სასამართლო მედიაცია - ხორციელდება მას, მერე რაც სასამართლოში შევა განქორწინების სარჩელი და მოსამართლე საქმეს მედიაციაში გადასცემს (მედიაციის შესახებ კანონი, მუხლ.2 (ბ)). არსებობს ასევე, კერძო მედიაცია, რომელსაც მხარეები თავისი ინიციატივით მიმართავენ. სასამართლოს მიერ განქორწინების საქმის მედიაციაში გადაცემაც, განისაზღვრება მოსამართლის რწმენით აღნიშნული სერვისის „საჭიროებაზე“, არსად არის გაწერილი კრიტერიუმები და საქმის გადაცემის წინაპირობა, განხილვის ეტაპი და სხვ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ

*„ეს სერვისი საკმაოდ ქმედითია საზღვარგარეთ“... (მედიატორი)*

მათი თქმით, ის მნიშვნელოვნად ეხმარება წყვილებს დავის გადაწყვეტაში მოკლე დროსა და ნაკლები საზიანო შედეგებით. მათი აზრით:

*„ჩვენს ქვეყანაში ამ სერვისის სიკეთეებზე ცოტამ თუ იცის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მიმართვიანობას“ (მედიატორი)*

და ასევე, სასამართლოდან გადაცემული საქმეები, მათი აზრით, არის უკვე ესკალირებული, „...უკვე მწვავეა და მათი განმუხტვა საკმაოდ რთულია“ (მედიატორი).

რესპოდენტები თვლიან, რომ ადრეულ ეტაპზე მათთვის გადმოცემული საქმე იქნება მეტად დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტილი;

2. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში არსებობს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების

კრიზისული ცენტრი, რომელიც დავით განქორწინების პროცესში ძალადობის ნებისმიერი ფაქტის დაფიქსირებისას დაზარალებულებს სთავაზობს მხარდაჭერას. ცენტრის ხელმძღვანელის აზრით:

*“ნებისმიერ განქორწინების პროცესში, პირდაპირ თუ არა, ირიბად ბავშვი ძალადობის მსხვერპლია“.*

მისივე თქმით :

*„ჩვენ გვაქვს რესურსი და მნიშვნელოვანია, ის თუ როგორ მივაწვდით ამას საზოგადოებას“.* საუბარია სხვადასხვა სერვიზებზე, რომელსაც სააგენტო სთავაზობს საზოგადოებას: ა) ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ბ) სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება; გ) სამართლებრივი დახმარება; დ) საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება; ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვამომსახურება. (ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბრძანება № 07-70/ო).

3. განქორწინების დავებში სადაც ფიგურირებს არასრულწლოვანი შვილი, საქმე გადაეცემა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში არსებული საქალაქო ცენტრის სოციალურ მუშაკს, რომელიც აფასებს ორივე მშობლის სოციალურ-ეკონომიკურ და საცხოვრებელ პირობებს, ესაუბრება შვილს და მისი საუკეთესო ინტერესებზე დაყრდნობით გასცემს მოსამართლეს რეკომენდაციებს მეურვეობისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ შეფასების პროცესს აქვს მკაცრი რეგლამენტი, თითოეულ სოციალურ მუშაკს საკმაოდ ბევრი ბენეფიციარი და შესაფასებლად გამოყოფილი საკმაოდ პატარა დრო, რაც ხშირად ხელს უშლის შეფასდეს სიტუაცია ობიექტურად და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი სრულად იქნეს გამოკვლეული.

4. გარდა ამისა, რესპოდენტები საუბრობენ ფსიქოლოგიურ სერვისზეც.

*„ემოციური, ქცევითი პრობლემები ვისაც აქვთ, ვეხმარებით როგორ უთხრან მშობლებმა ბავშვს განქორწინებაზე“ (ფსიქოთერაპევტი).*

*„ჩვენ მოგვმართავენ „დასკვნისთვისაც და შეფასებისთვისაც . ამ თუ ისეა ბავშვი დაზიანებული, რომ ჭირდება ფსიქოლოგი, შეიძება მოგვმართონ, მაგრამ ასეთი პრაქტიკულად არ გვქონია“ (ფსიქოთერაპევტი).*

სასამართლოს მიერ ფსიქოლოგთან ბავშვის გადამისამართება, უმეტეს წილად, ხდება „დასკვნის“ დასაწერად რომელიც გულისხმობს თუ ვისთან, სად უნდა იცხოვროს შვილმა და იშვიათად კი, ბავშვის ძალიან მწვავე ფსიქოლოგიური მდგომარეობის სამართავად. ამისთვის არსებობს მერიის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტები, რომელთა საშუალებითაც კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციები ახერხებენ მიაწოდონ ბენეფიციარს ხარისხიანი სერვისი. რესპოდენტების თქმითთერაპია რთულად ხელმისაწვდომიადა სასამართლოს სახელმწიფო დონეზე უჭირს მსგავსი სერვისის მოწოდება, რამეთუ საქალაქო ცენტრს მთელს ქალაქში

*„მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი ყავდა თბილისს და მხოლოდ ძალიან პრობლემურ, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობდა“ (სოციალური მუშაკი).*

*„სერვისები არაა, კონსულტაციები ოჯახთან არაა... არადა, საჭიროა“ (სოც მუშაკი).*

*„სერვისები არ გვაქვს....არ არსებობს ვირაც ვინც მსგავს სენისტიურ საკითხებზე იმუშავენ“ (ადვოკატი)*

*„არ არის კონსულტაციები, ჩვენ გვიჩვენს მათი მოსმენა“ (ადვოკატი)*



გამონაკლის შემთხვევაში, როცა მოსამართლე ამისამართებს ბავშვს ფსიქოლოგთან მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმების შემჩნევის შემთხვევაში, ასეთ დროს სასამართლო სთავაზობს მათ არასამთავრობო ორგანიზაციებს „საქართველოს ბავშვები“, GCRT” და სხვ.ესეც იმ შემთხვევაში, თუ აქვთ მათ ადგილი და გამოყოფილი ფინანსები სერვისის მისაწოდებლად.

*„რაც გვაქვს, შეფასების მიზნით გვაქვს... სულ 2 ფსიქოლოგი გვყავს, დანარჩენი ფასიანია, არსებობს არასამთავრობოები, რომლებიც გრანტის შემთხვევაში აწვდიან უფასო სერვისს, თუმცა, ეს სერვისი სახელმწიფოსი არაა, და თან ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი ადგილების გამო“ (ადვოკატი).*

რესპოდენტების თქმით, მსგავსი გადამისამართება ძალიან იშვიათია და განქორწინების შედეგად მიყენებული ტრამვის იდენტიფიცირება ხდება, როგორც წესი, ფსიქოლოგთან დამოუკიდებლად მიმართვის შემთხვევაში, და არა სასამართლო პროცესზე.

*„მშობელი იშვიათად ხვდება, რომ ვერ უმკლავდება და მოყავს სპეციალისტთან“, „ჩვენ ძირითადად „შესაფასებლად“ მოგვმართავენ და ან თუ თავად მივაგენით მიზეზს“... (ფსიქოთერაპევტი).*

როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, სერვისები არ არის მრავალფეროვანი, არ არის მასშტაბური და რაც ყველაზე საგანგაშოა, ყველა მათგანი გულისხმობს ინტერვენციას და არ მოიაზრებს განქორწინების თანმდევი ფსიქო-სოციალური პრობლემების პრევენციას. რაც კადრებისა და რესურსების სიმცირესთან ერთად მიწოდებული სერვისის ხარისხსაც აყენებს ეჭვქვეშ. ასევე, არც ერთი მათგანი არ გულისხმობს განქორწინების პროცესის სიჯანსაღის ხელშეწყობასა და ბავშვის ფსიქო-ემოციური კეთილდღეობის მხარდაჭერას.

## 2. დავით განქორწინების პროცესის სირთულეები

• კვლევის მონაწილე ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ხშირად, ბავშვი ხდება მანიპულაციის საშუალება და როგორც წესი, მშობელს ბავშვი ფსიქოლოგთან მიყავს მხოლოდ მეორე მშობლისთვის უფლებებს შესაზღვრდად/წასართმევად. რა დროსაც ფსიქოლოგმა უნდა შეაფასოს შვილის ორივე მშობლისადმი დამოკიდებულება და გასცეს სასამართლოში წარსადგენი რეკომენდაცია/დასკვნა. აქ პრობლემა არის ის, რომ მსგავსი ტიპის დასკვნები ეფუძნება შვილის და დაინტერესებული მშობლის პოზიციის გარდა, მეორე მშობლის პოზიციასაც. რის საშუალება, ხშირად ფსიქოლოგს არ ეძლევა. ფსიქოლოგი მეორე მშობლეთან გაუსაუბრებლად, ვერ ადგენს, რამდენად ჭეშმარიტია შვილის ნაამბობი დაინტერესებული მშობლის მხარდასაჭერად და ხომ არ არის საქმე არასრულწლოვანი შვილის ემოციურ მანიპულაციაში. ამიტომ უმეტესობა უარს იძახის მსგავსი „დასკვნის“ დაეწრაზე.

*„შეფასება „-ც მანკიერია, უნდა იყოს ორივე მშობელი, არადა ვერ ხერხდება და თუ ასეა, უარს ვიძახი“ (ფსიქოთერაპევტი).*

*„შეფასებისთვის მომმართავენ, მაგრამ უარს ვეუბნები, რადგან ორივე მშობელი აუცლებელია, არადა ეგ ძალიან ძნელია“ (ფსიქოთერაპევტი).*

• პრობლემას წარმოადგენს ასევე, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გამორკვევის შეუძლებლობა. რადგან ერთი ერთზე მასთან საუბარი არაა ყოველთვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა,

*„ შეხვედრების რაოდენობა განსაზღვრულია რეგლამენტით და ყოველთვის არ არის საკმარისი“ (სოციალური მუშაკი)*

და კანონი, კი რომელიც მეურვედ დედის პრიორიტეტულობას უსვავს ხაზს,

„ხშირად უფლებელყოფს ბავშვის სოციო-ეკონომიკურ და ფსიქო-ემოციურ საჭიროებებს, რის დაკმაყოფილებაც შეუძლია მამას“ (ადვოკატი).

- დავით განქორწინების პროცესს ართულებს ისიც, რომ

„მარტოხელა მშობლის სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის განსაღვრის პროცესი არ არის ოპტიმიზირებული, დროში გაწელილია „ (ფსიქოტერაპევტი)

და ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს კი მეტად მძიმდება ბავშვის და მსხვერპლი დედის ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

• რესპოდენტი ფსიქოლოგების აზრით, ზოგიერთი ადვოკატი ნაკლებად არის დაინტერესებული პროცესის სიჯანსაღეში, მათ ამოდრავებთ ფინანსური სარგებელი და ხშირად პროცესის გაჭიანურებას, „კიდევ ვიჩივლებთ“-ის პოზიციის მხარდამხარ, ბავშვის სტრესულ მდგომარეობას ახანგრძლივებენ; ასევე თვლიან, რომ თუ არა სასამართლოს, მათაც შეუძლიათ ფსიქოლოგიური სერვისის შეთავაზება წყვილისთვის, თუმცა ამას ხშირად არ აკეთებენ და ამას ხსნიან, არასაკმარისი ინფორმირებულობით.

„არ იციან რა გვაქვს... ინფორმირებულობა არ არის, შესაბამისად ვერ აკეთებენ რეფერალს“ (ფსიქოტერაპევტი).

• რესპოდენტი ადვოკატების აზრით, პრობლემას წარმოადგენს ფსიქოლოგიური სერვისების ხელმიუწვდომლობა და ის რომ ხშირად მათვე უწევთ მხარეების მოსმენა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რისი არც დრო და არც რესურსი არ გააჩნიათ. თუმცა, აქვე აღინიშნავენ ჩარევის შედეგიანობას და იმას, თუ როგორ შეძლეს განქორწინების თავიდან აცილება მიზეზების გარკვევით

„ჩვენ გვიწევს მათი მოსმენა.....გვექონია შედეგი“ (ადვოკატი)

• ადვოკატების აზრით, პრობლემაა ისიც, რომ მოსამართლის უფლება გადაავადოს განქორწინების დავის მოსმენა, თითქმის არ გამოიყენება. მოსამართლე სთავაზობს წყვილს, ხომ არ ჭირდებათ დრო დასაფიქრებლად და წყვილი, კი რომელიც შეიძლება წაკინკლავების ემოციურ ფონზე განქორწინდეს უარს იძახის სასამართლო სხდომის გადავადებაზე, ხდება მათი განქორწინება და იკარგება მათი შერიგების შანსი. ისინი საუბრობენ იმ მარტივად გადასაჭრელ პრობლემებზე, რომელიც გამოუკვეთიათ სხდომებს შორის თავად ადვოკატებს, ხელი შეუწყიათ წყვილისთვის და პროცესი განქორწინებით არ დასრულებულა. შესაბამისად, პრობლემას ხედავენ წყვილის დავის სიღრმისეული შესწავლის სახელმწიფო ნების არ არსებობაში.

„აუცილებელია მოსამართლე სრულფასოვნად ჩაწვდეს წყვილის სასამართლო მოთხოვნებს .... და ყველა ღონე იხმაროს მათ მოსარიგებლად“ (ადვოკატი)

„როცა ერთ მხარეს არ უნდა გაყრა და ქონებრივი/სამეურვეო დავა არ არსებობს, არავინ ეკითხება მხარეს რატომ არ უნდა გაყრა... მათ უბრალოდ ყრიან“ (ადვოკატი)

• ყველა მათგანი ხედავს პრობლემას საზოგადოების ოჯახის შექმნისა და ოჯახური პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულებაში. განქორწინება ბავშვისთვის, მათი აზრით, „სტრესია, თუმცა, დამღევადი“, რასაც ჭირდება ადექვატური მშობლების ჯანსარი დამოკიდებულება. ხშირშემთხვევაში მშობლებს თავიანთ დავაში ავიწყდებათ ბავშვების როლი, მათი განცდები, არ უხსნიან შილებს რატომ შორდებიან და უნებრლიედ წირავენ ფსიქოლოგიურ ტრავმასა და მშობლების განქორწინების დანაშაულებრივ გრძნობაზე.

„განქორწინება ნორმალური ცუდი ტრავმაა, მაგრამ ნორმალურ პირობებში აბსოლუტურად, დამღევადი „ (ფსიქოტერაპევტი).

„ბევრი მშობელი ვერ ხვდება , რომ ბავშვს სამოქალაქო დავები აზიანებს“ (ფსიქოტერაპევტი).

• საკმაოდ ბუნდოვანია კანონში ჩანაწერი „საჭიროებისამებრ“, რომელიც არ აკონკრეტებს კონკრეტულად როდის, რა შემთხვევაში და რა სახის მხარდაჭერა უნდა იყოს შეთავაზებული ოჯახისთვის. სამართალმცოდნეები ამბობენ, რომ მოსამართლეები არიან დატრენინგებულები, რომ ისინი ყოველთვის გამოდიან ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და რომ საქმეს არასრულწლოვნის ჩართულობით, მეტად სენსიტიურად ეკიდებიან. ეს მაინც არ იძლევა მეტი კონკრეტიკის საშუალებას და მეტიც, ზოგი მათგანი თვლის, რომ კანონში მსგავსი ჩანაწერი სახელმწიფოს ხსნის ვალდებულებას გაიღოს რესურსი თითოეულ საოჯახო დავაში და *„შესაბამისად, მოსამართლეც არაა ვალდებული გარდა სამართლებრივი ასპექტისა, მიაქციოს რამეს ყურადღება“ (ადვოკატი),*

*„არადა, ყველა საოჯახო დავა არის საგულისხმო და მნიშვნელოვანი რისკის შემცველი არასრულწლოვანი შვილისთვის და ეს მნიშვნელოვნად უგულებელყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს“ (ადვოკატი).*

• ასევე, ადვოკატების აზრით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცალსახა უგულებელყოფად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მეუღლეთა ნებით განქორწინების დროს (რაც გულისხმობს იმას, რომ არ აქვთ სამართლებრივი დავა), ქორწინების შეწყვეტა ისე, რომ არავინ ინტერესდება *„ყავთ თუ არა მათ შვილი და ის როგორ გრძნობს თავს. პრობლემაა, რომ „ბავშვი, უბრალოდ არ ჩანს“ (ადვოკატი).*

• და ბოლოს, კითხვაზე; გვაქვს თუ არა რესურსი, რომ გავუმკლავდეთ არსებულ სირთულეებს, რესპოდენტთა ნაწილმა თანხმობა განაცხადა

*„ რესურსი არსებობს, მაგრამ ბავშვები გვრჩება“... (მედიატორი).*

*„რაც უფრო დიდი იქნება მომართვა, მით უფრო დიდი რესურსი გაჩნდება“ (კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი).*

ისინი სირთულეს არა რესურსის არ არსებობაში, არამედ ინფორმაციის მიუწვდომლობაში ხედავენ. მაშინ, როდესაც, სხვა რესპოდენტები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების არ არსებობას ღიად აფიქსირებენ

*„არ არის რესურსი, არც პრევენციული და არც ინტერვენციული“ (ფსიქოთერაპევტი)*

*„არ არსებობს, ნამდვილად, ვინც მსგავს სენსიტიურ საკიტხზე იმუშავებდა“ (იურისტი)*

კვლევაში მონაწილეებმა დავით განქორწინების პროცესის სირთულეებად დაასახელეს სასამართლოსა და ადვოკატების არაინფორმირებულობა და არსებული სერვისების გამოუყენებლობა, კანონის ბუნდოვანება და ნებით განქორწინების დროს ბავშვის ინტერესების გაუთვალისწინებლობა. მათი აზრით ეს დაუკავშირებულია ფსიქო-სოციალური სერვისების მწირ რაოდენობასთან, მცირე საკადრო რესურსებთან და სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის არ არსებობასთან.

### 3. განქორწინების პროცესის საჭიროებები

რესპოდენტებისთვის დასმულ კითხვაზე, არსებული რესურსებით როგორ შეგვძლია გავაუმჯობესოთ განქორწინების პროცესი, მათ პასუხები იყო ცალსახა და მსგავსი. ყველა მათგანთანხმდება იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოება საკმაოდ ჩაკეტილია და მეტად ორიენტირებულია სოციალურ იმიჯზე, თუმცა აღნიშნავენ რომ საზოგადოებაში არსებობს მზაობა ითხოვოს და მიიღოს მხარდაჭერა/სერვისი. მათი აზრით განქორწინების პროცესის სიჯანსაღესა და მისით გამოწვეული შედეგების სიმძიმეს მნიშვნელოვნად შეამცირებს, თუ:

- მოხდება „განქორწინების დავის პროცესის ოპტიმიზაცია“- რაც გულისხმობს პროცესის ვადების, რეფერირების კრიტერიუმებისა და საჭირო სერვისების მიწოდების დადგენას;

- არსებულ სერვისებზე და შესაძლებლობებზე გაიზრდება მშობელთა და ადვოკატთა ინფორმირებულობა და გაიზრდება არსებული სერვისების მასშტაბები;

- ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების შტატი გაიზრდება და მათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეეწყობათ, რამეთუ სწორედ მათ რეკომენდაციებზეა დამოკიდებული ბავშვის ბედი;

- გაიწერება არსებულ ფსიქო-სოციალურ სერვისებში სასამართლო რეფერირების კრიტერიუმები;

- საზოგადოება ისაუბრებს განქორწინების პრობლემურ საკითგებზე ხმამაღლა და ჩატარდება მეტი კვლევა ამ სფეროში;

- დავაში სადაც ფიგურირებს ბავშვი, აუცილებლად იქნეს გამოყენებული დრო მოსარიგებლად (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) და დაევალოთ მხარეების წარმომადგენლებს მათ მორიგებაზე ზრუნვა;

- განქორწინების სამართლებრივი პროცესის დაწყებამდე არსებობდეს სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა რომელიც დაეხმარება განქორწინების პროცესთან გამკლავების მექანიზმების გამომუშავებაში;

- ნებით განქორწინების დროს (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში) ბავშვის ინტერესების გათვალისწინება;

ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ყველა საჭიროება ეფუძნება მათ გამოცდილებას და წარმოადგენს რეალურ შანსს, შევამციროთ განქორწინების შედეგად გამოწვეული სტრესისა და სხვა ფსიქო-სოციალური პრობლემების მომეტებული რისკი.

### დასკვნა/ რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ :

- სასამართლოში დავით განქორწინების პროცესში მოსამართლე ყველა ღონეს ხარობს მხარეების მოსარიგებლად და აქვს უფლება „საჭიროებისამებრ“ მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახის წევრებისათვის ფსიქო-სოციალური სერვისის შეთავაზების თაობაზე. მათ შორისაა სასამართლო მედიაციის , სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის სერვისი;

- სირთულეს წარმოადგენს ის, რომ განქორწინების პროცესში მხარეებისთვის არსებული სერვისების რაოდენობა და მასშტაბები ძალიან მცირეა, ორიენტირებულია მხოლოდ ინტერვენციასა და არა პრევენციაზე და ამით, უფლებებელყოფს ბავშვის უფლებებს კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, სასამართლო პროცესში არის დაბალი ინფორმირებულობა. მართალია, არსებული სერვისები ძალიან მცირეა, მაგრამ მხარეებმა მათზეც არ იციან. არ იციან რა უფლებები აქვთ, ვერ ხვდებიან რა პრობლემებს უქმნიან ბავშვს და არ აქვთ ინფორმაცია არსებულ შესაძლებლობებზე.

- შედეგად, არსებობს სასამართლო და საოჯახო ფსიქო-განათლებისა და ქმედითი სერვისის შემუშავების საჭიროება. რესპოდენტების აზრით, ამ სირთულეების გადასაღებად, აუცილებელია გარკვეული სერვისების შექმნა და განქორწინების პროცესში ჩართული პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის გაზრდა.

განხილული ლიტერატურისა და ექსპერტული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები, რომელიც ეყრდნობა ექსპერტთა

მოსაზრებებს და მნიშვნელოვნად შეამცირებს განქორწინების პროცესის უარყოფით შედეგებს. კერძოდ, რეკომენდირებულია:

- შეიქმნას უწყებათაშორისი მულტიდისციპლინარული გუნდი, რომელიც გაუწევს დავით განქორწინების მოსურნე წყვილებს კვალიფიციურ კონსულტაციას, მიაწოდებს მათ განქორწინების შედეგებზე ინფორმაციას და დაეხმარება გამკლავების მექანიზმების გამომუშავებაში. ეს შეამცირებს დავით განქორწინების რიცხვს( განქორწინების მსრუველი წავა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში) და სასამართლოში დავის თავიდან აცილება კი დაზოგავს სახელმწიფოს და მეუღლეების დროს, ფინანსურ და ემოციურ რესურსს. ასევე, მნიშვნელოვნად შეამცირებს ბავშვზე განქორწინების უარყოფითი შედეგების ზეგავლენას.

- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს კანონმდებლობაში შეიქმნას დამატებითი ჩანაწერი, რომელიც განქორწინების ყველა განმცხადებელ წყვილთან წინასწარ კონსულტაციას გულისხმობს. შემთხვევის შესწავლა დაევალოს სოციალურ მუშაკს, რომელიც მოახდენს წყვილების ინფორმირებულობას განქორწინების შედეგებზე და დაინტერესებდა მათი შვილის ფსიქო-ემოციური მდგომარეობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საჭიროებისამებრ გადაამისამარტებს სპეცილისტთან .

- მოხდეს ოჯახის ფსიქოლოგიის და სასამართლო ფსიქოლოგიის ცალკე გამოყოფა, განვითარება და შესაბამისი თერაპიული სერვისის ჩამოყალიბება იმ წყვილებისადა ბავშვების მხარდასაჭერად, რომლებიც დაბნეულნი და დასტრესილნი არიან. ეს დაგვეხმარება ოჯახის წევრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

- სახელმწიფო დონეზე დაიგეგმოს კამპანიები, რომელიც განქორწინებაზე, მის თავიდან არიდებასა და სავალალო შედეგებზე საზოგადოების ინფორმირებულობას გაზრდის.

- მოსამართლეების და ადვოკატების დატრენინგება ფსიქო-სოციალური სერვისების როლზე და მათი გამოყენების აუცილებლობაზე და ასევე, იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი განქორწინების პროცესში წყვილისთვის მოსარიგებელი დროის მიცემა.

- საქართველოს სამოქალაქო საქმეთა კოდექსის მეორე თავში, საკმაოდ მრავალაზროვანი ჩანაწერი „საჭიროებისამებრ“ საჭიროებს დაკონკრეტებას. რისთვისაც რეკომენდირებულია განხილულ იქნეს განქორწინების დავებში სერვისების შეთავაზებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები). ეს დაგვეხმარება ერთის მხრივ, გამოვყოთ ის კრტერიუმები რა დროსაც მოსამართლეები ახდენენ რეფერირებას სხვადასხვა სერვისებზე და მეორეს მხრივ კი ვნახოთ, რა შემთხვევებში ხდება ქორწინების შენარჩუნების მიზნით სასამართლო პროცესის გადავადება და რა როლს თამაშობს სასამართლო მშობლების მორიგების პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Parsons T.& Bales R. Family, Socialization and Interaction Process (Ch. III), Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon, 1956
2. Pruett M., K., and Barker R., Children of Divorce: New Trends and Ongoing Dilemmas, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 31) A John Wiley & Sons, Ltd. Publications, 2009;
3. Nurse A., R., and Thompson P., Collaborative Divorce: A family-Centred Process, Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 32) A John Wiley & Sons, Ltd. Publications, 2009;
4. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელ მჯავრდებულთათვის რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზი, ბერლინი/თბილისი, 2013;
5. ფირცხალავა ე., ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი, დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008;
6. გუგუშვილი თ., განქორწინება ქართველ ახალგაზრდებში (18-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში), ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, #1, ივლისი 2015;
7. Lochman J.E. & Mattys W., The Wiley Handbook of Disruptive and Impulse – Control Disorders, John Wiley & Sons. LTD, 2018;
8. Forehead R., Long N., Brody G. , Divorce and Marital Conflict: Relationship to Adolescent Competence and Adjustment in Early Adolescence – Impact of Divorce, Single Parenting and Stepparenting on Children, Psychology Press, Taylor & Francis Group, New York, London, 1988;
9. Ackerman M.J. & Kane, A.W., Psychological Experts in Divorce Actions, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer, Law & Business, 2007;
10. Guttman J. Divorce in Psychological Perspective Theory and Research, Psychology Press, New York. London, 2009;
11. Kaye H.S. Determinants of Children Adjustments to divorce. Children of Divorce: DEVELOPMENTAL AND Clinical Issues, Routledge, Taylor & Francis Group., London & New York, 2013;
12. Vandewater E. A. and Lansford J. E. , Influences of family Structure and Parental Conflict on Children's Well-Being, Family Relations, Vol.47.No.4, 1998;
13. Family Justice Review , Final Report , Published on behalf of the Family Justice Review Panel by The Ministry of Justice the Department for Education and the Welsh Government, 2011;
14. ვარდოსანიძე თ., საქართველოში ქორწინებისა და განქორწინების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019;
15. Coates C. & Lacrosse R., Learning From Divorce: How to Take Responsibility, Stop the Blame, and move on. San Francisco: Jossey-bass, 2003;
16. Homrich, A., (2005), Program Profile :The Court Care Center for Divorcing Families, Family Court Review, March 2005;
17. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი 1997
18. საქართველოს კონსტიტუცია 1995;
19. მაჭარაშვილი მ., განქორწინება და ქორწინების ბათილობა, ნაშრომის შესრულებულია სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, შპს გურამ



- თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019;
20. საქართველოს კანონი ბავშვთა უფლებების კოდექსი, 2019 20 სექტემბერი.
  21. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია 1989;
  22. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ 2019;
  23. ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დ აზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბრძანება № 07-70/ო;
  24. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, ხელმისაწვდომია <http://atipfund.gov.ge/geo/attachment/394/2019-tseli>,
  25. ვერმონტის სასამართლო , ხელმისაწვდომია <https://www.vermontjudiciary.org/programs-and-services>
  26. ვესტ ქაუნთის ასოცირებული ფსიქოლოგები, ხელმისაწვდომია <https://wcpastl.com/importance-professional-counseling-pre-post-divorce/>
  27. „კარგი თერაპია“ - თერაპიული ცენტრი, ხელმისაწვდომია <https://www.goodtherapy.org/learn-about-therapy/issues/divorce/recovery>
  28. ორეგონის შტატის მედიაციის ცენტრი , ხელმისაწვდომია <https://www.mediate.com/articles/saporo.cfm>

---

Article received 2021-04-17